პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 კვირა 23 მაისი № 120 (16550) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავინაზღაუროთ გაცდენილი, გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპი! უზრუნველვყოთ ნედლეულის დროული გადამუშავება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების ტემპის დაჩქარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1976 წლის გაზაფხულის არახელსაყრელი კლიმატური პირობების შედეგად რთული მდგომარეობა შეიქმნა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. წლევანდელი სუსხიანი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის პერიოდის არაჩვეულებრივად დაბალმა ტემპერატურამ, რომელიც ბოლო დრომდე გრძელდება, მკვეთრად შეაფერხა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია, ხელი შეუწყო ყრუ ყლორტების მასობრივ განვას, დუყებისა და ფოთლების გაყვითლებას. წალენჯიხის, გეგეჭკორის, მახარაძისა და სხვა რაიონებში გაზაფხულის სუსხს მოჰყვა მოსაგლის დიდძალი დანაკარგები.

არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა სერიოზულად ჩამოარჩინა ჩაის ფოთლის დამზადება. 19 მაისისათვის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 4,7 პროცენტით, რაც მრავალი წლის საშუალო მაჩვენებლებზე ბევრად დაბალია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განსხვავებამ 46 ათასი ტონა შეადგინა.

შექმნილი მდგომარეობა პარტიული ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან, სპეციალისტებისაგან მოითხოვს ყველაფერი იღონონ, რათა ამოქმედონ არსებული რეზერვები სახელმწიფო დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის, მიაღწიონ საწარმო ბრიგადების, რგოლების, თვითეული მეჩაიისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკის მაღალ დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოების მთავარ ამოცანად მიაჩნია შექმნილი მდგომარეობის უმოკლეს ვადებში დაძლევა, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო დავალებათა უთუო შესრულება.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, მეჩაიეობის რაიონების რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას წინადადება მიეცათ ყოველნაირად დაეხმარონ მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებს ნედლეულის დროული და შეუფერხებელი დამზადებისა და გადამუშავების საქმეში.

შემჭიდროებულ ვადებში უნდა დაამთავრონ ყრუ ყლორტებისა და გაყვითლებული დუყების მოკრეფა, არ დაუშვან „პიკის“ პერიოდში ჩაის ფოთლის გაუხეშება, უზრუნველყონ მისი დროული მიღება და გადამუშავება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა შეიმუშაონ და ყველგან დანერგონ მუშაობაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის უჯიბრების ქმედითი ფორმები, შრომითს მეტოქეობაში ჩაბმან არა მარტო ცალკეული მეურნეობები, ბრიგადები, რგოლები, არამედ პლანტაციების თვითეული მშრომელი, ჩაის ფაბრიკების მუშაკებიც, უნდა მიეღწიოთ, რომ მოწინავე მეჩაიეთა მიჯნები ყველა მშრომელის მუშაობის ნორმა გახდეს.

აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განთლების სამინისტროებს დაევალთ უზრუნველყონ მეჩაიეობის მეურნეობებში მუშათა, სტუდენტთა და მოსწავლეთა დროული და ორგანიზებული გაგზავნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ დაავალა უზრუნველყონ მეჩაიეობის მეურნეობები საჭირო რაოდენობის ტრანსპორტითა და სათადარიგო ნაწილებით.

ცეკავშირის გამგეობამ პირფერ ეფიანად უნდა გაუმჯობესოს საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა მეჩაიეობის მეურნეობებში. უზრუნველყოს მეჩაიეებისათვის ცხელი კერძებისა და გამაგრილებელი სასმელების მიტანა უშუალოდ პლანტაციებში.

(საქინფორმი).

რუსთაველ მეფოლადეთა პატრიოტული თაოსნობა

დღეს „კომუნისტის“ ფურცლებზე ვაქვეყნებთ რუსთაველ მეტალურგთა წერილებს, რომლებიც გვაცნობენ იმ დიდ ენთუზიაზმსა და ერთსულოვნებაზე, მეფოლადეთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად საწარმოში რომ სუფევს.

იმედია, საწარმოთა კოლექტივები ფართოდ გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას, რომლის დევიზიც არის: მტკიცე დისციპლინა, ორგანიზებულობა შრომის მაღალნაყოფიერების წყაროა.

მტკიცე დისციპლინა, ორგანიზებულობა შრომის მაღალნაყოფიერების წყაროა!

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა თვითეული ჩვენგანის შინაგან მოთხოვნილებად, ჩვენი ცხოვრების განუხრელ წესად ვაქციოთ! — ასეთია რუსთაველ მეტალურგთა გადაწყვეტილება.

მეათე ხუთწლედში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ფოლადის წარმოება 21 პროცენტით უნდა გაზარდოს, თუჯის — 55 პროცენტით, აგლომერატისა — 142 პროცენტით, მილებისა — 14 პროცენტით, ამასთან მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. კერძოდ, მთელი პროდუქციის 35 პროცენტი მსოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა დამზადდეს, ე. ი. გამოშვებული უნდა იქნას ხარისხის სახელმწიფო ნიშნით.

ქართველმა მეტალურგებმა ხუთწლედის პირველი წელი წარმატებით დაიწყეს. ოთხი თვისა და მაისის 20 დღის სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია ისობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, კოქსი, სხვა მეტალურგიული პროდუქცია.

პირველი კვარტალის მაჩვენებლებით ქარხნის კოლექტივი კვლავ გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მეცხრედ დაისაკუთრა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რუსთაველ მეტალურგებს კარგად ესმით, რომ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ზუსტი ორგანიზაციით, შრომითი, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებით, დასახული ამოცანების შესრულებაში. თვითეული მუშის თუ მოსამსახურის აქტიური მონაწილეობით,

გეგმების შესრულებას, ეფექტიანობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლებით გაზრდას თავიანთი მუშური გარანტია რომ მისცეს, ამ დღეებში მარტენის საამქროში დაიბადა ახალი, პატრიოტული თაოსნობა. მეფოლადეები კისრულობენ, რომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა, თვითეულის შინაგან მოთხოვნილებად, ცხოვრების წესად აქციონ. ისინი მიზნად ისახავენ თავიანთ რიგებში არ შეურიგდნენ არცერთ ჩამორჩენილს, დისციპლინის არცერთ დამრღვევს.

მეფოლადეთა ამ თაოსნობამ თვრთო მხარდაჭერა ჰპოვა მთელი საწარმოს შრომითს კოლექტივებში. თითქმის ყველა საამქრო ჩაება ახლებურად შრომის ფერხულში და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესების ახალი ღონისძიებები შეიმუშავა.

დღეკანდელი ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე ვბეჭდავთ წერილებს, რომელთა ავტორები საუბრობენ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მემარტენეთა ახალ წამოწყებას, და როგორ უნდა მიაღწიონ ამ ახალი ლაშქრობის უკეთეს ორგანიზაციას, ხუთწლედით დასახული ამოცანების განხორციელებას.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შილსაგლინავმა საამქრომ წლიურს ოთხ თვეში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 5.491 ტონა მილის მზა პროდუქცია. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა საამქროს მეორე ბრიგადამ, რომელსაც ოსტატი რ. ლომიძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრები პირველი გამოეხმაურნენ მემარტენეთა ინიციატივას — „არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით!“.

სურათზე: (მარცხნიდან) მეორე ბრიგადის წევრები ოსტატი რ. ლომიძე, მვალცავები ბ. მაღლაფერიძე, ო. ფერაძე, ა. ზადენსკი და ბ. მილუშკოვი.

ბ. ბოგუშევის ფოტო.

უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკვების გარანტირებული მოსავალი, მოსავლის უდანაკარგოდ აღება, დამზადების გეგმის უთუოდ შესრულება

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

21 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების თათბირი.

თათბირი გაიმართა იმასთან დაკავშირებთან, რომ ამინდის უარეს ად არახელსაყრელი პირობების გამო ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. პატიაშვილის ინფორმაციასა და თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაიწყო თოთქმის ერთი თვის დაგვიანებით და ძალზე გაჭიანურდა. მაისის შუა რიცხვებისათვის საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულდა 77 პროცენტით, რაც 11 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში, ხოლო ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია თითქმის 50 ათასი ტონით ნაკლები..

ბუნებრივია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ამინდის რთულ და ძნელ პირობებს უნდა დაუპირისპირონ მაღალი ორგანიზებულობა, დაამყარონ მტკიცე შრომის დისციპლინა წარმოების ყველა რგოლში, რათა უთუოდ სრულდებოდეს ყველა სასწრაფო სამუშაო ენებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და ბოსტნებში. მაგრამ ეს ყველა რაიონსა და მეურნეობაში რომ გაკეთდა. საკმარისია თქვას, რომ დღემდე მთლიანად არ არის გაზაფხდებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. რესპუბლიკის მთელ სამანქანო-სატრაქტორო პარკში არსებული ტრაქტორების 9 პროცენტი, ჯუფნების 6 პროცენტი, სათესი მანქანების 7 პროცენტი უკარგის მდგომარეობაშია.

დაიწყო მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი — ბალახების თიბვა, მაგრამ დღემდე არ დამთავრებულა სასენაე ორმოებისა და ტრანშეების მშენებლობა.

ყინვებით ვენახებისათვის მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის ერთ-ერთი ღონისძიებაა 2-3 წლიანი ვენახების გადაყვანა შპალერებზე. აქ კი აუცილებელია რკინაბეტონის ბოძები, მაგრამ რაიონებისათვის დამზადებული 300 ათასამდე ბოძი ჯერაც არ გუტანიათ.

თათბირზე სერიოზული ყურადღება დაეთმო კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, იმას, რომ ადამიანებმა უნდა იმუშაონ ძალღონისა და ენერგიის მთელი დაძაბვით, რომ თვითეული უნდა ასრულებდეს როგორც დავალებებს, ისე ნაკისრ ვალდებულებებს.

თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება მიექცა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა აღებისათვის მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ და სანიმუშო მომზადებას. აღინიშნა, რომ მარცვლეულისათვის, ხილისა და ბოსტნეულისათვის უნდა მოემზადოთ საიმედო საცავები, გამოვყოთ თესლის სათესი და ადაზღვევეთ ფონდები, განიხილეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სხვა აქტუალური საკითხები.

რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმაონ, რათა უზრუნველყონ წარმატება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა ფრონტზე. გადამწყვეტ უბნებში სამუშაოდ, განსაკუთრებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში, პურეულის მკაში, ბოსტნეულის, კარტოფილის, ყურძნის მოსავლის აღებაში ჩაბმან მოსახლეობა, ახალგაზრდობა, და ამით უზრუნველყონ მაქსიმალური მუშახელი.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშაკთა მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას, ვინც დასაქმებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების სფეროში. რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ და გაბედულად გამოიყენონ ყველა იმ მუშაკის მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, ვინც თავისი შრომით უზრუნველყოფს მაღალ მაჩვენებლებს მოსავლის ნაღებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას დანაკარგებთან მოსავლის აღების, გადაზიდვისა და შენახვის ყველა სტადიაზე. მკაცრი კონტროლი უნდა დაეუწესოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითეულ კილოგრამს, არ დაეშვათ პროდუქტების განაავება, გაფუჭება, არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

პარტიული საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ იმისათვის, რომ შეასრულონ მიმდინარე წლის მთავარი ამოცანა — თვითეულ ჰექტარზე მოიწონონ უზვი მოსავალი, უზრუნველყონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის სანიმუშოდ აღება, უთუოდ შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სახავს კარდინალურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია „1976 წელს მოსავლის აღება, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების უთუოდ შესრულება. ამ საპრიგრამო დოკუმენტის განხორციელებისათვის რაიონებში წვლენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

(საქინფორმი).

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი, 22 მაისს განაგრძობდა რესპუბლიკის გაცნობას.

დილით დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ რუსთავში. აეტომანქანებს კორტეჟი შეჩერდა მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს შენობასთან, რომლის ფასადზე გაკრული იყო ტრანსპარანტი: „გაუმარჯოს საბჭოთა და მოზამბიკელი ხალხების ძმურ მეგობრობასა და სოლიდარობას“. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მ. გიორგაძე, საწარმოს მოწინავე მუშაკები.

ქარხნის დირექტორთან ო. ნ. სულაძესთან საუბრის დროს მოზამბიკის წარმომადგენლები გაეცნენ ქალაქისა და ქარხნის დაბადების ისტორიას, წარმოების ორგანიზაციას, შეიტყვეს, რომ ეს საწარმო ჩვენს ქვეყანაში ნავთობისა და მანქანათმაშენებელი მრეწველობისათვის საჭირო ფოლადის მილების უდიდესი მწარმოებელია.

ს. მაშელმა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა დათვალიერეს მარტენისა და საგლინავი საამქროები. მათ უთხრეს, რომ ქარხანაში ოსტატობას იმაღლებდნენ ბევრი სოციალისტური ქვეყნის მეტალურგები. ახლა აქ მოწინავე გამოცდილებას ეუფლებიან ბულგარეთისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეფოლადეები და მგლინავები.

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზმის იდეები და პრინციპები საბჭოთა ადამიანების მეგობრობის, დედამიწის ყველა მშრომელთან ურთიერთობის, მათი კლასობრივი სოლიდარობის საფუძველია.

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცეს ქარხნის გასაღები, რომელზეც გამოსახულია მისი ემბლემა. ს. მაშელმა საწარმოს კოლექტივს მიართვა სკულპტურა, რომელზეც გამოსახულია ლითონის ძველებური დნობა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ს. მაშელმა და სხვა მოზამბიკელმა ამხანაგებმა დათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ამ ექსპონატების გაცნობა, აღნიშნეს, სტუმრებმა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართველი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შესანიშნავ პროგრესზე.

დელეგაცია იყო ბერეთი კონიაკის ქარხანაში. ამაღლებული იყო მოზამბიკელთა შეხვედრა მოსწავლეთა და პიონერთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელებთან. სტუმრებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონცერტმა, რომელშიც ნორჩი მოცეკვავეები და მომღერლები მონაწილეობდნენ.

მოგზაურობაში მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ვადერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ო. კიკნაძე, სსრ კავშირის ელჩი მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში პ. ნ. ევსიუკოვი. (საქინფორმი).

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია საქართველოში

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მოიზეს მაშელის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით, 22 მაისს საღამოს თბილისიდან ქალაქ მაპუტუში გაემგზავრა.

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტში ს. მაშელი და მისი თანმხლები პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები თვითმფრინავის კიბეზე მიაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ვადერმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ვ. გილაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. ო. კიკნაძემ.

სტუმრები გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ვ. მ. სირაძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ნ. ინაურმა, ამერკავკასიის წინააღმდეგ ომში მონაწილე ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ე. მელნიკოვმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კეკენაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ვ. გურგენიძემ, სსრ კავშირის ელჩმა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში პ. ნ. ევსიუკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მე-3 განყოფილების გამგემ ვ. ა. უსტინოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგემ პ. ი. მანნხამ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი გულთბილად დაემშვიდობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებს, მხურვალე მადლობა გადაიხადა მასპინძლობისა და კეთილი სურვილებისათვის.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამ, განაცხადა წასვლის წინ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ს. მაშელმა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა ადამიანები ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის გულწრფელი გრძნობებით ეკიდებიან მოზამბიკელ ხალხს.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საბჭოთა გამოცდილების გაცნობამ, აღნიშნა პრეზიდენტმა, ჩვენთვის ძალზე სასარგებლო და საგულისხმო იყო. თვითონ თვალსაჩინო გამარჯვებანი შთაგვაგონებენ. საბჭოთა კავშირიდან მივგყვება რწმენა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა.

(საქინფორმი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ყურადღებას იქცევს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული წრეები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ „ცივი ომის“ დოგმებით და კვლავაც ვერ შერიგებიან რეალობას, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ყოველივე იმ სიკეთეს, რაც ამ ბოლო დროს მოხდა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში, ამასთან ურცხვად ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, ავრცელებენ სხვადასხვა ჭორს მისი მიზნებისა და განზრახვების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ცხადყოფა თუ რამდენად აბსურდულია მტკიცებანი საბჭოთა კავშირისა და მისი პოლიტიკის შესახებ, კვლავ განვმარტოთ მისი პრინციპული ხაზი საერთაშორისო საქმეებში, მაგ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ.

სკკპ XXV ყრილობამ დაადასტურა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის სსრ კავშირის პოლიტიკაში კვლავაც მთავარია ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, მყარი მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხის შენელებისა, ხოლო პერსპექტივაში — აღმოფხვრისათვის, შესაბამისად განსაზღვრული იყო ამ დარგში პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც ორგანულად განაგრძობენ და ავითარებენ ყოველივე იმ დადებითს, რაც მიღწეულია დაძაბულობის შენელების საქმეში ბოლო ხუთწლეულის განძილზე.

მშვიდობის პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა, ეს არის ხალხთა უშიშროებისა და კაცობრობის პროგრესის ინტერესების შესაბამისად თანამედროვეობის მომწიფებულ ამოცანათა გადაწყვეტის რეალისტური პროგრამა. საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება ნაკარნახევია ჩვენი დროის ობიექტური მოთხოვნილებით. მაგრამ ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი ამოცანები მომავალშიც თავისთავად რთდ გადაიჭრება. მთავრობებს, პარტიებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სიტყვით კი არა, საქმით უნდა განვამტკიცებდეთ მშვიდობის საფუძველს, უპირისპირდება საერთაშორისო რეჟიმი, რომლის მოქმედება და ზრახვები მჭიდრად უკავშირდება გამალებულ შეიარაღებას, სამხედრო ავანტიურებს, სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა საშინაო საქმეებში ჩარევას.

საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს მოთმინებით და თანამიმდევრულად ეძებოს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების ახალ-ახალი გზები, სადავო საკითხები მოიწესრიგოს მოლაპარაკების მაგიდასთან. საბჭოთა კავშირი დღემდეც ამ პოზიციიდან ამორიცხელებდა და კვლავაც განაორციელებს ურთიერთობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთანაც.

1. როგორც ცნობილია, მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების ბაზაზე მოხდა სერიოზული შემოწმებენენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, ამასთან ერთადერთ შესაძლებელ საფუძველზე, როგორიცაა უარის თქმა ევროპის არსებული საზღვრების დარღვევის პრეტენზიებზე.

სავსებით ცხადია, თუ რამდენად სახარგებლოა ასეთი განვითარება როგორც ორივე მხარისათვის, ისე მთლიანად ევროპისათვის. ამიტომ ეხლა არც ერთი დიდი პოლიტიკური პარტია პრინციპულად საეჭვოდ არ ხდის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის აუცილებელია ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს

(დასასრული 30-ე გვ.)

მტკიცე დისციპლინა, ორგანიზებულობა შრომის მაღალნაყოფიერების წყაროა

კ. ბაქრაძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი

მემარტენეთა ინიციატივას — შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა თვითეულის შინაგან მოთხოვნილებად, ცხოვრების წესად უნდა იქცეს, მხარი დაუჭირა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და დაავალა საამქროთა ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს თვეიანთ კოლექტივებში ეაირკვინონ მიფოლადეთა წამოწყება და გამალონ სოციალისტური შეჯიბრება უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად, სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად.

მემარტენეთა ინიციატივა განიხილა ყველა საამქროს, უბნის, ცეხის, ბრიგადის კოლექტივმა და მეტალურგებმა ერთხმად გამოთქვეს რწმენა, რომ ამ ღონისძიებით გაზაღებული ლაშქრობა ოდიდეს წვლილს შეიტანს მეათე ხუთწლედის დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ამ ბოლო ხანს საწარმოში ძირეული ცვლილებები მოხდა შრომის დისციპლინის განმტკიცების, სანიმუშო სახოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში. დაიასახელებთ რამდენიმე ციფრს: წლეულს იანვარში საამუშაოზე მივიღეთ 218 კაცი და ქარხნიდან მხოლოდ ამდენივე მეშა წავიდა, ისიც თითქმის ყველა სპეციალ მიზეზით. ადრე კი სამუშაოს ბევრად მეტი მეშა ტოვებდა, ვიდრე მოსვლის მსურველი იყო.

შარშან 1972 წელთან შედარებით 8-ჯერ შემცირდა სამუშაოს გაცდენის საათების რაოდენობა, ამასთან სამუშაოზე დაბრუნდა 300-მდე ძველი კადრის მეშა, რომლებმაც ადრე საწარმო მიატოვეს.

რამ მინაპირობა ეს ძვრები? წარსულისაგან განსხვავებით ახლა მუშაობისა და ცხოვრების ეკონომიკური პირობებია; 160 მანეთიდან 180 მანეთამდე გაიზარდა საშუალო თვიური გამომუშავება და მომავალში ეს თანხა კიდევ გაიზრდება. მარტო მეცალტი ხელფასის სახით შარშან მეშებზე გაეცით 1 მილიონ 500 ათასი მანეთი. ცხადია, მუშათა პირობების ასეთი გაუმჯობესება იმ დიდი მზრუნველობის შედეგია, რასაც დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა მეშათა კლასის ყოფაცხოვრებისადმი იჩენენ.

მშრომელთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დასახული გეგმის ფარგლებ მთელი რიგი ღონისძიებანი. კერძოდ, გაუმჯობესდება მეშათა სასადილოების, მაღაზიების, ტრანსპორტის მუშაობა, გაფართოვდა სასათბური მეურნეობის, რუსთავის მთაზე დაეამთავრებთ გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას.

მარტენელი კომუნისტების თაოსნობა მნიშვნელოვან ღონისძიებად მიგვაჩნია. პარტიული კომიტეტი ყველფერს იღონებს იმისათვის, რომ საწარმოში დამყარდეს სანიმუშო დისციპლინა, წესრიგი, გამოვიშალოთ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

ო. ლომიძე,
მარტენის საამქროს მეფოლადე, სკკპ XXV ყრილობის დელეგატ

ჩვენმა მეგობარმა ომარ წოლიძემ გრიგოლ ბერეკაშვილთან საგან ესტაფეტა რომ ჩაიბარა, წინადადება შემოიტანა საამქროში დღეიდან გაიშალოს ლაშქრობა შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ჭეშმარიტად კომუნისტური შრომის დასამკვიდრებლად, რომ არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი უდისციპლინო არ იყოს ჩვენს გვერდით. ახალგაზრდა მფოლადის ამ პატრიოტულმა მოწოდებამ საყოველთაო-სახალხო მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა.

ჩვენს საამქროში ახლა მაინც ყველაზე მთავარი საკითხი ფოლადის ხარისხია. როგორებრივად პრობლემა თითქმის გადაწყვეტილია (ღღეისათვის გეგმის ბევრი გამოშვებული გვაქვს 8.000 ტონა ფოლადი), ხარისხში კი გვაჭირს. ხელმა ხოლმე, როცა ისა თუ ის მფოლადე ვერ იცავს ფოლადის მარკირებას, თუ ამ ცოტა ხნის წინათ ამას ითმენდით, ახლა ოკეი საგანგაშოდ გთოლეთ.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გამართულ მიტინგზე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ღღეკანდელი სამენოვნო სოციალისტური ურთიერთობის სისტემაში. მას გაეხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის გზა. იმით, რომ მხარი დაუჭირა ევროპაში დაძაბულობის შენელების კურსს, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ თავიდან აიცილა საერთაშორისო იზოლაციის საფრთხე.

8. ომისშემდგომი ევროპის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დადება. სათდუმლოება არ არის, რომ ამ შეთანხმების შემუშავებას ყველა მისი მონაწილის ბევრი შრომა და. ხიმტკიცე დასჭირდა. საბოლოოდ მოხერხდა ინტერესების ისეთი ბალანსის გამონახვა, რომელმაც შექმნა შესაძლებლობა, რომ ამ რაიონში შენელებულიყო დაძაბულობა და საქმე ისე წარმართულიყო, რომ დასავლეთ ბერლინი — დვეის და კონფლიქტების წყარო — გადაქცეულიყო მშვიდობის კონსტრუქციულ ელემენტად.

ოთხმხრივი შეთანხმება მთელი თავისი არსით გამიზნულია საბჭოთა კავშირთან. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობისთვის. მას წარმატებით ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ნსეი კონტექსტში.

და ამასაც არ უნდა ივიწყებდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც მოუწოდებენ იმის შემოწმებას. თუ რამდენად „მტკიცეა" ოთხმხრივი შეთანხმება, რომლებიც კვლავაც ფიქრობენ, რომ დასავლეთი ბერლინი მოსახლეობელი ინსტრუმენტია გასული წლების პოლიტიკური კრიტერიუმებისა და დებულებების დასაბრუნებლად.

9. მათ, ვინც ახლა ცდილობს ხაეჭვო გახადოს ევროპაში მშვიდობიანი თანამშრომლობის პერსპექტივები, ვინც აჭეზებს გამალებულ შეიარაღებას და „სიმკაცრეს" მოითხოვს სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში, ვინც მოურიდებლად ამახინჯებს სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა სულისკვეთებას და შინაარსს და ცდილობს ნაციონალისტური, რევანშისტული კონცეფციების ალორძინებას, საჯაროდ უნდა გაანცხადონ, თუ რა ალტერნატივას სთავაზობენ ევროპის ხალხებსა და თავიანთ საკუთარ ხალხს, როგორ წარმოიდგენიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი?

10. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი შეუქცევადი გავხადოთ, სათანადო გაჭანება მივანიჭოთ მას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას განუხრახული აქვს, როგორც ეს აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, კვლავაც თანმიმდევრულად გაგაგრძოს პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ხანგრძლივი თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარების კურსი. ამ პოლიტიკის განხორციელებისას საბჭოთა კავშირი მზად არის იმოქმედოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოელ იმ ძალებთან ერთად, რომლებიც იზიარებენ ასეთ მიდგომას და ადგენენ ანალოგიურ პოზიციებს.

11. მიღწეულზე დაყრდნობით ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ დიდმნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიონ პოლიტიკურ, სავაჭრო, ეკონომიურ და სხვა დარგებში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში. ამას ხელს შეუწყობდა პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკის განვითარება, ჩვენი ურთიერთობის სახელშეკრულებო ბაზის განმტკიცება, კულტურული, მეცნიერული, ტურისტული, სპორტული და ახალგაზრდული გაცვლის თანმიმდევრული განვითარება. ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების ფორთო ასპარეზად კვლავაც რჩება ეკონომიკა და ვაჭრობა, სადაც ურთიერთგამოცდილების გამოყენება და რესურსების შეხამება სასარგებლო იყო და კვლავაც სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისათვის.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის განვითარების ფართო შესაძლებლობებია საერთაშორისო ასპარეზზე. საქმე ეხება ორივე ქვეყნის მეცადინეობის შეხამებას საერთოევროპის მნიშვნელობის ისეთი დიდი პროექტების განხორციელების საქმეში, როგორიც არის ენერგეტიკა, გარემოს დაცვა თუ ტრანსპორტი. საქმე ეხება იმას, რომ ურთიერთმოქმედების დადნიშვნელოვანი სფერო უნდა გახდეს თანამედროვეობის უმწვავესი საკითხი — განიარაღებისა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ გამართულ მოლაპარაკებაზე მიღწეული პროგრესის მნიშვნელობა. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლიათ ღვწმენდენ და მოლაპარაკების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ერთად კიდევაც უნდა ღვწოდნენ იმისათვის, რომ ყველა მხარის უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპის საფუძველზე წინ წაიწიოს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების საქმემ ევროპის ყველა ხალხის ინტერესების შესაბამისად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.**

**12. მყარი მშვიდობა, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ევროპის ყველა ხალხის ცხოვრების ბუნებრივი ფორმა უნდა გახდეს. ამას მოითხოვს ასეთ მილიონობით ევროპელი. დღეს, ისევე როგორც გუშინ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხის წინაშე, ისევე როგორც ევროპის ყოველი სხვა სახელმწიფოს ხალხის წინაშე, დასახულია კარდინალური საკითხი: რას მოახმარს თავის ენერგიას, თავის გაკლენას — მშვიდობას თუ ომს. ამ კითხვაზე პასუხს თავს ვერ მოიჩენენ ეს ან ის ადამიანი ან ეროვნული ჯგუფები, ან ეს ან ის ადამიანი ან ეროვნული ჯგუფი ვერ ეცილება ამ ერთ ეროვნულ ინტერესს, ეროვნულ ამოცანას, ეროვნულ ინტერესს, ეროვნულ ამოცანას — ევროპის ყველა ხალხის ინტერესებისა და ამოცანების ერთიანობა, ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების ერთიანობა ეს ... ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების ერთიანობა

ჩვენი საუნჯე



იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის 100 წლისთავისათვის

ნოდარ დუმბაძე

როცა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონისა და გოგლას ლვთაებრივ ლექსებს ვკითხულობ, გასაკვირია, მაგრამ სულ მუდამ ლადო ასათიანის ერთი უბრალო ლექსის სტრიქონები მაგონდება:

კავკასიის მთებში გაგაჩინა ზენამ,
სმათა ხავერდების და ღმერთების ენავ .

ხოლო როდესაც საქართველოს ისტორიას ვკითხულობ, ქართლის ცხოვრებას ვკითხულობ და ქართულ ტაძართა ნაგებობებზე ხაჭრეთლით ამოკვრაგულ ჩუქურთმასა და ასოებს ვეჭიდები წასაკითხავად, ირაკლი აბაშიძის დიდებული ლექსი მაგონდება:

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მფრენელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დედაენას კი, რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი — ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკადავეთ იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია.

ეს ამბავი მოყოლილი მაქვს, მაგრამ ერთხელაც მოვყვები, რადგან მისი აქ მოყოლა უფრო უპრიანია.

ჩემს ოჯახში ერთი უძველესი წიგნი — რელიკვია ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის „დედა ენა“ გახლდათ, „დედა ენა“, რომლითაც ჩემი დედა სწავლობდა და რომელსაც მე მოკითხავდა ბავშვობაში, ვიდრე სკოლაში წავიდოდი. ამიტომ კი არა, რომ „დედა ენის“ გაჯერვება ეკონა ჩვენს ოჯახში, არა, იგი შელოცვილი აკვნისავით გადადიოდა თაობიდან თაობაში და ისე იყო გაცრეცილი, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და ათასჯერ დაკაკლულებული, რომ ძალაუნებურად მოითხოვდა ალერსსად სათუთ და ხათნო მოპყრობას. სწორედ ეს „დედა ენა“, წავიდე თან, 1968 წელს ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში რომ გაეგზავნე.

ქალაქ ბურსაში ერთი შავთვალწარბა ბიჭი მოგახალოვდა, ოღონდ კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ნაფოტივით თხელი იყო, ეკალათი და ცივი მჭადით გაზრდილ გურულ ბიჭს მგავდა და არც მოვტყუვებულვარ.

— გურჯი ვარო! — მითხრა.

თარჯიმანი გვეხმარებოდა საუბარში.

— ქართული რატომ არ იცი? — ვუსაყვედურე.

— ნენეი მომიკვდა! — იმართალა თავი.

ეს ორი ქართული სიტყვა ისე მითხრა, ტირილი მომინდა.

ხასტუშრიში წავიყვანე და ის ჩვენი ოჯახის რელიკვია „დედა ენა“ ვაჩუქე.

— შენია, წაიღე, ოღონდ ისწავლე-მეთქი, — ვუთხარი.

თავი დამიქნია, გამიღიმა და წაიღო. წაიღო და ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ჩემი დედა ვაჩუქე და ის მისი მკვდარი დედა გავუცოცხლე.

ალალი იყოს, კი არ ვამაღლო, უბრალოდ გავიხარე. მე ისეთი კარგი დედა მყავდა, მთელ გათუალებულ ქართველებს ეყოფოდა დედად. და განა ამიტომ, რომ დედაენაზე უკეთესი დედა სხვას არ ყავდა? არა, ამიტომ, რომ მან ქართული ენის ფასი იცოდა.

განსვენებულმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა ერთხელ მითხრა სრულიად ახალგაზრდას:

— ძალიან ბევრი უცხო ენა უნდა შეისწავლო, ბიჭო, ქართული ენის ფასი და სიდიადე რომ გაიგო.

სამი ენა იცოდა დედაჩემმა ერთიმეორეზე უკეთესად. ალბათ, სწორედ ამ გენიალურმა პარადოქსმა ათქმევინა თავის დროზე სახელგანქმულ ფილოსოფოსს და პოლიგლოტს ნიკო მარს:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა ენით რა ენით. აზრი არ მოიტანებია არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ასე მდიდარია ქართული. შეიძლება თქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“.

მაგრამ ენა, რაც უნდა ლამაზი და მდიდარი იყოს, ბერონი თუ არ ეყოლა, შეიძლება მოკვდეს და დაკარგეს.

ეს ჩვენზე კარგად იცოდნენ, შორეულ წარსულიდან თავი დაეკნინო, მეცხრამეტე საუკუნის დიდმა განმანათლებლებმა — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა. ისიც იცოდნენ, რომ ენას ერთი მუჭა გლეხობელები ვერ დაიცავდა, ვერ შეინახავდა. ამიტომ მათ იგი ერის, ხალხის საკუთრებად აქცეს, უფრო სწორად, მათ ხალხს წიგნი შეაქეს თავიანთ ენაზე დაწერილი, თავიანთი ფიქრით, სიხარულით, თავიანთი ტკივილითა და ოცნებით სავსე წიგნი, წიგნი, რომელიც შემდგომ ქართველი ხალხის ხმალიც, გუთანიც, ნამგალიცა და ვეფხიც გახდა.

და ეს დროულად გაკეთდა, როდესაც ქართულ ენას მოსპობა და გადაგვარება ელოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, მაშინ ზოგი ქართველიც კი ამ პროცესს ისტორიულად გარდაუვალ პროცესად თვლიდა.

ამას ამტკიცებდა 1872 წელს გიორგი მუხრანბატონი თავის ბროშურაში — მცირე ერთა ენების შესახებ — მაგრამ აი, რა უპასუხა მას მაშინ დიდმა ქართველმა მეცნიერმა და მოღვაწემ გაბრიელ ეკიმეტმ:

„ბატონო ბატონო,

...მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენათაც ზედაც თუ გაავრცელე ის შენი ენა, მაშინ არავინ არ შეიწყენარებს მას.

ქართველის და სომხების ენანი, თუმცა ცირა ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი; ეს ენებს აქვს ფიზიკოგრაფია, ლიტერატურა, სადგრთო ფერილი და მრავალნი ფიზიდა ბანთა ნაწერები და ნათარგმნი; ამ ორ ენაზედ ეკოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის, თან აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია, ენანი იკვნენ ოდესმე თვით მდგომარენი საფლავზეთ ფოთნი. ერთი სიტყვით, აქვსთ მათ ყოველი ელემენტი არსებობისა და სიცოცხლისა“.

ეს იყო მეფის რუსეთის მოხელეთა და ჩინოვნიკთა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ თქმული ხმამაღალი სიტყვა და რადგან ყოველ სიტყვას საქმით უნდა დამტკიცება, ზუსტად მეოთხე წლისთავზე 1876 წელს დიდმა ილიამ შეადგინა და გამოსცა ქართული „დედა ენა“, ცხოველი სული შთაბერა მას, ფეხი აადგმევინა და შარა-შარა, შუკა-შუკა, ღობე-ღობე, ბილიკ-ბილიკ, ოდა-ოდა, სოფელ-სოფელ გაუშვა ხალხთა ენაში.

ხოლო 1887 წელს შეადგინა, გამოსცა და, როგორც ძმა და მეგობარი, დაადევნა „დედა ენას“ რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსხკოე სლოვო“, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებას თანამედროვე სახელმძღვანელოს.

აი, რას ფიქრობდა ამის თაობაზე გოგებაშვილი.

„რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ იყვნენ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე გაფენილი თავიანთი საშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე თავს გრძნობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში“.

დიდი ერისკაცისა და ბრძენის ანდერძი გახლავთ ეს სიტყვები.

და განა ამისიგე დადასტურება არ არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება რუსული ენის სწავლების შესახებ? იქ ხომ სწერია, რომ რუსული ენის სწავლება დედაენის ინტერესებს უნდა უწყობდეს ხელს.

ძნელია „დედა ენის“, „ბუნების კარის“ და „რუსსკოე სლოვოს“ შეფასება. ეს სამი წიგნი ნათელი შარავანდედით ამკობს გოგებაშვილის სახელს. ეს ის სამი წიგნია, სამი სვეტი, რომლებზეც ეყრდნობა გოგებაშვილის შემდეგდროინდელი ქართული პედაგოგიური მეცნიერება და ლიტერატურა.

დღეს, კაცმა რომ თქვას, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა და სხვა მათმა თანამოაზრეებმა ქართული ენა დაკნინებასა და მოსპობას გადაარჩინეს, ვინმეს შეიძლება კიდევაც გაუკვირდეს, არადა, ნათქვამი მცირეა — გადაარჩინეს კი არა, მეორე ხიცოცხლე აჩუქეს მას.

განუზომელია „დედა ენის“ მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ციცერონი ამბობდა: „უმეცრება ღამეა გონებისა, ღამე კუნაპეტი, უმთვარო და უვარსკვლავო“.

„დედა ენა“ ნათელი გახდა ქართველთათვის ამ ღამეში.

შექსპირი ამბობდა, სამეფო გვირგვინზე ძვირფასია ჩემთვის წიგნებიო.

სამეფო გვირგვინად დაედგა ქართველებს „დედა ენა“.

ხალხი ამბობს: უწიგნო ხახლი და უფანჯრებო ერთია, ორთავეში ერთნაირად ბნელია.

ფანჯრად იქცა „დედა ენა“ ყველა ქართველის ხახლში. და მე არ მიკვირს, როდესაც დღეს ჩემი ქვეყანა, ჩემი მთავრობა და ჩემი პარტია 100 წლის იუბილეს უხდის წიგნს და არა კაცს. კაცის იუბილე რაა?! — ჩვენ თითქმის ყოველდღე ვუსდგთ ერთმანეთს იუბილეებს, მაგრამ დღემდის წიგნის იუბილე არ გადაგვიხდია.

ორი წიგნი ვიცი მე საქართველოში, რომელსაც შეიძლება იუბილე გადაუხადო. ეს არის „ვეფხისტყაოსანი“ და „დედა ენა“, რადგან ეს წიგნები არ გახლავთ, ეს ორი წიგნი — ერია.

არის წიგნები, რომლებსაც ძეგლი უნდა დაუდგეს ერმა, მათ ავტორებს კი არა — წიგნებს, დიახ, წიგნებს.

მაღალ კვარცხლბეკზე წიგნი უნდა იდგეს, ოქროს ზარნიშიანი და გადაშლილი წიგნი, ისე რომ მთელი ერი ხედავდეს. ახეთი წიგნი ორი მეგულება საქართველოში — „ვეფხისტყაოსანი“ და „დედა ენა“.

როგორც აღვნიშნე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება 100 წლის იუბილე გადაუხადონ „დედა ენას“ და ორმოცდამეათედ გამოსცენ იგი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქართული ენა, როგორც ჩვენი დიადი ქვეყნის სხვა ენები, დღიდან ოქტომბრის რევოლუციისა, ნაკრძალად არის გამოცხადებული და მას ისეთი ეგერება ჰყავს, როგორიც გახლავთ ხალხთა ენების მეცნიერებათა აკადემია, ქართული უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტები, საქართველოს მწერალთა კავშირი და ბოლოს თვით ჩემი სახელმწიფო — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

იაკობ გოგებაშვილს თავის „დედა ენაში“ ერთი პატარა საოცარი მოთხრობა აქვს — „იავნანამ რა ჰქმნა“, მაგრამ იცის კი იაკობმა, რა ჰქმნა მისმა „დედა ენამ“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ? „დედა ენამ“ შვა: „ნაკადული“, „მნათობი“, „ცისკარი“, „დროშა“, „პიონერი“, „დილა“, „მართვე“, „ნობათი“, „საუნჯე“, „განთიადი“, „რიფა“, „ლიახვი“, „ჭოროხი“, „ხელოვნება“ და რომელი ერთი ჩამოვთვალო, იგი გამრავლდა საქართველოში, ვითარცა ნაგრამი და ნათესავი ნოესი წარღვნის შემდეგ.

აუწონელი და უსახდაუდებელი განძი დევს „დედა ენაში“ — ამ პატარა წიგნში, მაგრამ გასაოცარი ეს კი არ არის, გასაოცარი ის გახლავთ, რომ ამ საგანძურს, წინააღმდეგ მსოფლიოში არსებული ყველა კანონისა, მსოფლიოში ყველაზე უმარტივესი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, სულ ორი ხმოვანთხაგან შემდგარი და ჩამოსხმული ულამაზესი ოქროს გასაღები აღევს — ია.

ამ გასაღებით ყველას შეუძლია ახარგებლოს, გახსნას ეს დიდებული სკივრი და მიეხაკუთროს თვალმარგალიტი, რომელიც შიგ აწყვია. ამით ჩვენს „დედა ენას“ არაფერი დააკლდება, რადგან ეს სიკეთე ულევია შიგ.

აკი აწერია კიდევაც თავფურცელზე:

ია — ია...

მობრძანდით, აიღეთ, გახსენით ეს ხიბრძნის ხალარო და იგი თქვენია.

მსოფლიოში სახელგანთქმულმა შერლშმ ოენსინგ ნორგეიმ აღამიანთაგან პირველმა ეკერესტზე ფეხი რომ შედგა, არც „ვაშა“ უყვარია, არც „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და არც როკვას მოყოლია გამარჯვებულ და აღტაცებულ სპორტსმენთა მსგავსად.

მან მუხლი მოიყარა მწვერვალის წინაშე, დამსკდარი ტუჩებით ეამბორა მის მარადიულ ჭაღარას და უთხრა:

„გმადლობთ, ჯომოლუნგმა, რომ ამომიშვი!“

მე მგონი, ყველა ქართველი მოვალეა ოენსინგ ნორგეის მსგავსად, მუხლი მოიყაროს „დედა ენის“ წინაშე და ხმამაღლა ღაღადყოს:

— გმადლობთ, „დედა ენავ!“.

ზეპირი ჟურნალი

„მეათე ხუთწლედს ახალგაზრდული ენთუზიაზმი, აღმაფრენა, შთაგონება“

ონის სარაიონო კულტურის სახლში, საქართველოს ალკ ონის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ერთობლივი ხელმძღვანელობით მოეწყო ზეპირი ჟურნალი თემაზე — „მეათე ხუთწლედს ახალგაზრდული ენთუზიაზმი, აღმაფრენა, შთაგონება“.

ჟურნალის პირველი გვერდი ონის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშის, კომკავშირის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრის მარინე კობერიძის გამოსვლას დაეთმო. მეორე გვერდი თემაზე — „ზამთარა გზით“ ქალაქის პირველი და მეორე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა მოამზადეს. ნაჩვენები იქნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ნატყვიარი პარტბილეთი“.

ზეპირი ჟურნალის მესამე გვერდი მოლიანად დაეთმო მავნე ტრადიციებისა და ზნეჩვეულებებს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

„ტრადიცია და თანამედროვეობა“ — ამ თემაზე დამსწრეთ ესაუბრა რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი ს. გრძელიშვილი. საუბრის შემდეგ ონის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ცხოვრებოვის პიესა „სინდისი“ ერთი ნაწყვეტი. სპექტაკლის დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის სახალხო თეატრის რეჟისორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჯაფარიძეს.

ნ. დუშუაშვილი.

მშენებელთა საჩუქარი

რუსთავი. (საკ. კორ.). სსრ-თოლს სართული ემატება, კვარტალებს კვარტალები; ფართოვდება ინდუსტრიული ქალაქის ხარაჩოები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი კ. გოგინიშვილი, პარტკომის მდივანი დ. კოტეტიშვილი) აპრილში გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ ჩააბარა ეროი საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართობი 3.720 კვადრატული მეტრია.

მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ბინებს მშენებლობის ნახევარი წლის ვადა მაისის ბოლოსათვის ვაანაღდონ და მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქს 15.588 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები შემატონ.

მშვიდობის ხელშესაწყობად

ცხინვალი, 22 მაისი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა დამფუძნებელი კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი საოლქო კომისიის შექმნას.

მოხსენება საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ კაკაკეთა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი საქართველოს რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პოეტი ი. ნონეშვილი, მშვიდობის დაცვის საბჭრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, პოეტი რ. აბაევი, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ბეკოევა.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი საოლქო კომისიის შექმნის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი სამხრეთ ოსეთის საოლქო კომისიის პირველმა სხდომამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხდომამ აირჩია საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი საოლქო კომისიის ბიურო. საოლქო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქაბულოვა.



თბილისი. სანაპიროზე.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იმ ადამიანებისადმი, ვინც ომისგან დაბრუნდა

ღირსეული თანამემამულე

შინამოუსვლელი გმირის მემორიალი

ფოთი. სამამულო ომის პირველსავე დღეებში ვერაგ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ქომკავშირელი, ტანკისტი პეტრე პირტახია, რომლის უკვდავყოფაზე ბევრი ლექსი, სიმღერა, ნარკვევი და მოგონება დაიწერა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია სახალხო მწერალ ნ. ბაგრატიონ-მუხრანელის ლექსი „მხედარი პირტახია“.

თვით ფოთელები დიდი პატივით მოსავენ ღირსეული თანამემამულის ხსოვნას. ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა მისი სახელობისაა. პირტახიას სახელობისაა აგრეთვე გმირის აღმზრდელი პირველი საშუალო სკოლის პიონერული რაზმი. იგი საპატიო წევრად ჩარიცხული ჰყავთ ელექტრომექანიკური გამაძლიერებლების ქარხნის ფლის ნათურების ამწყობთა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას.

ამ დღეებში გმირის სიდიადით ფოთელები კიდევ ერთი საიტერესო მოვლენის მოწმენი გახდნენ. მის კარმიდამოსთან, რომელსაც უსასყიდლოდ გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, მოეწყო მემორიალური ფაფის საზეიმო გახსნის და წვეულებათა გაცლების ცერემონიალი. ამასთან დაკავშირებთ გმირის მოხუცდედას მარიამს ეუბნებენ ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, სამამულო ომის ვეტერანებმა, კომკავშირული ბილეთები გადასცეს წვეულმფლობელს, ხოლო ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი, ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი, ელექტროაპარატის ქარხნებისა და ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის წარმომადგენლებმა წვეულმფლობელები საჩუქრებით დააჯილდოვეს.

კ. კომახიძე.

ვუბრუნდებით დაგეგეჭდილს

გმადლობთ, მეგობრებო!

„კომუნისტის“ წლევანდელი 16 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ძმათა გვერდით“, რომლის ავტორია დონეცკის ოლქის არტემოვსკის რაიონის სოფელ რუზნიკოვსკის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. სავჩენკო. იგი იტყობინებოდა, რომ გერმანელ ფაშისტთაგან მათი სოფლის განთავისუფლებას ქართველი მებრძოლებიც შეეწირნენ, რომლებიც ძმათა სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი, სავჩენკო ჩამოთვლიდა ქართველი მებრძოლების გვარებს და ითხოვდა, ეცნობ მათი ახლობლები გამოგვეხმაურონ, რომ დაღუპულთა ვინაობა დავადგინოთო.

ამასწინათ დონეცკიდან რედაქციაში ვ. სავჩენკოს მაღლობის წერილი მივიღეთ. იგი გვწერს, რომ „კომუნისტში“ დაბეჭდილ მის წერილს უკვე გამოხმაურებიან დაღუპულთა ახლობლები. უკრაინელი მეგობარი გეთხოვს, საშუალება მივცეთ გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოს დაღუპული მებრძოლების — სერჟანტ ვ. ბ. ბერიაშვილის ვაჟს თბილისელ ზ. ბ. ნიავაძეს, ვ. პ. მეშვილდიშვილის დას ახალსოფელელ ი. პ. მეშვილდიშვილს, ი. მ. ქემოკლიძის დას ამბროლაურელ მ. ფ. ქემოკლიძეს, დაღუპულის ქვრივს თბილისელ ა. ი. კობერიძეს.

— ამასთანავე მიგდია ვაცნობო, — წერს დასასრულ ვ. სავჩენკო, სოფელ ამირის მცხოვრებ ნ. გ. ლობანიძეს, თბილისელებს რ. ა. ჯიბლაძეს და ი. ფ. გოგაძეს, რომ მათი დაღუპული ახლობლების გვარები აქ არის აღნიშნული ჩვენი რაიონის ძმათა სასაფლაოების მემორიალურ ძეგლებზე.

გიორგი კაჭახიძე

ციკლიდან „ირსეულ ზაფარეული ძაცი სახლკაცი“

ვერლოებში დაბრძენებული

მუშაკაცია, შრომის მადლით დაბრძენებული,
დაღვინებია გარდასული ყრმობის ოცნებაც.
უღონიერა დრომ ოდითვე განდიდებული
სინდის-ნამუსი, პატიოსნება.

სულის ეს განძი, უცოდველი წყარო სიკეთის,
არის ყოველგან ყველა მისი ღირსების დედა.
გული აქვს დიდი და გულივით თვალივე ისეთი,
სკაკიკაცოდ ყველაფერს ხედავს.

მზე რომ ფიცხობდეს, ნერგს ელოდეს გვალვით გახმობა,
წუხდეს გზის პირად,
მოუხმობდეს მხსნელს და თანამგრძნობს,
თვალს არ დახუჭავს,
წყალს მოძებნის საფმე მახლობლად,
ამ ნერგს უშველის და გზას განაგრძობს.

სისხლში სიავის წვეთი შხამი არ ურევია,
გადაჩენია ზოგი თვლემას, ზოგი ზმორებას.
რადგან ასეთი შემართების კაცი ბევრია,
სახალისოა შრომაც, ცხოვრებაც.

კვალში მიპყვება მომავლისკენ გზების გამხსნელებს,
მოსდგამს ღირსების სიყვარული მამაპაპიდან.
სინდის-ნამუსი ისეთი აქვს, არ მოასვენებს
და მისცემს მამულს, რასაც დაპირდა.

II

ეშხი ქვეყნისა, საჭე სიმდიდრის

ვინც დაგემოყვრა.
მხნეობით და რწმენით ივსება,
სული ბოროტიც რომ უყვდეს, მაინც წინ მიდის.

შრომაკ ძლიერო,
შენს ხელშია კაცის ღირსება,
ეშხი ქვეყნისა, საჭე სიმდიდრის.

ლსაბამიდან სიღარიბის წყაროს დამშრობი
შედიხარ დამწვარ უდაბნოში გამლილ მდინარედ.

ოქროდ აქცეო შეგიძლია ვერცხლად ნაშობი,
მოხადო თეთრი გვირგვინები ზვიად მყინვარებს;

კვიბო დღეგრძელთა პურის მადლით ყველა ხნიერი,
ჭაბუკს ხალისით არანდვინო სიბრძნის აკვანი.

ნიჭს გვერდით არ ჰყავს მეგობარი შენზე ძლიერი,
მწვრთნელი ერთგული, ხალხში გამყვანი.

ერთად მხარდამხარ ღირსეულად სადაც გაივლეთ,
ნედლდება, ცოდვილ აკვაცობას რაც დაუთუქავს,
წვეთი ოფლისა იაგუნდობს ნატერისთვალივით,
ლეკსში ერის ხმა ფრთიანდება, ქვაში ჩუქურთმა.

ხალხის მეგობრად,
ქვეყნის შვილად როგორ ჩაეთვალო,
ვინც ვერ ეწყობა შენს უებრო წესს და საქციელს.

ბევრი უცნობი, უჩინარი, შრომაკ მართალო,
უდიდებულეს კაცად აქციე.

თავს არ შეირცხვენს, შეურცხვენლად ვისაც უვლია,
დგება შენს კვალში ახალბედა მოყმე მრავალი.

ო, გიხაროდეს, ყველგან შენი დადაფნულია,
გმირთა გარსკვლავნი და დროშები გარდამავალი.

III

ჩვენი ღირსების ჯარისკაცებთან

ვერ შეველევი მას, რაც ვიწამე,
სიჭაბუკიდან რაც ფიქრს მტაცებდა.
კეთილ ჩემს ხალხში ვარ, ჩემს თბილ მიწაზე,
ჩვენი ღირსების ჯარისკაცებთან.

ისევ იმათი სიტყვის დრო არის,
მეტი სიკეთის, მეტი დოვლათის.
მხვნელ-მთესველიც ვარ და მეომარიც,
ერთი ნატეხი მათი ფოლადის.

საძმო, საერო გულისნადები
ჭკუა-გონებით აგვიწონია.
მათი ცხოვრების აზრით ვნათდები
და სხვა ცხოვრებით ნურც მიცხოვრია.

ნუ ამრევოდეს ლხენა იმათი
ყბედის ღიმილში, მეზობლების ხალისში.
აწყერებული დიდი სინათლით
კაცში კაცობის ძებნას არ ვიშლი.

ისევ ეგუშაგომ ძმობის ჯიბერებს,
დრო მაქვს სიბერის სადღეგრძელომდე.
რაც ხალხის გულში ვერ იჯუჯღლებს,
სიტყვა ისეთი ნუ დამცდენოდეს.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

მრავალფეროვანი, საინტერესო...

ხალხმრავლობაა სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. სომხური ხელოვნების ოსტატთა კონცერტებზე, რომელთა პროგრამა მრავალფეროვანია და მაყურებლის დაინტერესება აღბათ ამის მედგმიც არის.

სომხური თვითმყოფადი ხალხური სიმღერებით წარსდგა (მათ შორის საიათნოვას რამდენიმე მელოდია) მაყურებლის წინაშე სომხეთის რადიოს და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ხალხური საკრავების ანსამბლი, რომელიც თავიში დამაარსებლის ა. მურანგულიანის სახელობისაა.

ანსამბლის სოლისტები არიან ცნობილი მომღერლები: სომხეთის სსრ სახალხო არტისტები ო. ბადალიანი, ო. ამბარცუმიანი, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტები: რ. მათევოსიანი, ნ. მნაცაკანიანი, ვ. ხაჩატურიანი, ფ. სორენიანი, ვ. სამველიანი, ვ. ოვსეფიანი, რ. ოვანესიანი. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია კომპოზიტორი მ. ბეგლარიანი, კონცერტმეისტერი — ა. მეკენიანი.

კონცერტებზე წარმატებით გამოდის თ. ალთუნიანის სახელობის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ამჟამად სათავეში უდგას სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ხ. ავეტისიანი. დიდი მოწონება ხვდა ანსამბლის შესრულებულ ცეკვებს: „წეროები“, „მეცხვარეების ცეკვა“, „ცეკვა ხმლებით“, „სასუმარო“, „საზეიმო სურათი“ და ბევრ ხალხურ სიმღერას.

მსმენელს განსაკუთრებულად მოსწონს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ურარტუ“ და მისი მთავარი სოლისტი, სომხური და მოძმე ხალხთა სიმღერების ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებელი გ. მინასიანი.

კონცერტების მხატვრული ხელმძღვანელია სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი ხ. ავეტისიანი.

მლერის გიორგი მინასიანი.
(საქინფორმის ფოტო).

პატარეგის მუსიკალური გული

ქართველ და სომეხ ნორჩ მუსიკოსთა შეხვედრაზე

თბილისის ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში შეკრებილი ქალაქის მე-14 მუსიკალური სკოლის ნორჩი მუსიკოსები მოუთმენლად ელოდნენ სასურველ სტუმრებს — ერევნის მე-10 მუსიკალური სკოლის აღსაზრდელებს. საზეიმოდ მორთულ ღარბაზში ამაღელვებელი იყო ნორჩების შეხვედრა.

სანთლების შუქმა იკლო, გაიხსნა ფარდა და მუსიკის სასიამოვნო ხმამ გოგო-ბიჭების ყურადღება მიიპყრო. ერევნის მე-10 მუსიკალური სკოლის მე-5 კლასის მოსწავლემ ნაირა ვარდანიანმა შეასრულა ჰენდელის სარაბანდა და აიკაზიანის ცეკვა „ქართული“. პატარები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დარბაზში შუსიკის ბანგები იღვრებოდა. სტუმრები — ნორჩი მუსიკოსები უკრავდნენ სიმგბიან, სასულე, ჩასაბერ ინსტრუმენტებს. პირველი განყოფილება, რომელიც ერევნელ ნორჩ მუსიკოსებს დაეთმოთ, დაბურა მეექვსე კლასის მოსწავლემ სუსანა მარტიროსიანმა. მან დიდი მოწდომებით შეასრულა ჰაიდნის კონცერტი რე-მაჟორი.

მეორე განყოფილება მასპინძლებს დაეთმოთ. თბილისის მე-14 მუსიკალური სკოლის მომღერალ ბავშვთა გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის სიმღერა „სამშობლო“ და ბეჭინოვის „იქ, სადაც ლენინი ცხოვრობდა“, დოლუხანიანის მიერ დამუშავებული სომხური ხალხური სიმღერა „ბომდერალი“.

როგორც საორკესტრო, ისე საფორტეპიანო განყოფილებების ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა გამოაგლინეს რიული ნაწარმოებების ინტერპრეტაციის კარგი უნარი.

ორი მომმე რესპუბლიკის ნორჩ მუსიკოსთა შეხვედრამ, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, საფუძველი ჩაუყარა მოსწავლეთა მეგობრობას.

ნ. ფილაური.

თბილისელთა სუფრისათვის

ლესელიძის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ სათბურეების პირველი მოსავალი

რეფერენდარიუს მძლავრმა შუქმა გაარღვია ღამის წყვდიადი და მაშინვე აფუსფუსდა ხალხი „თბილხილბოსტანეაპრობის“ ბაზაში. აქ ქალაქ გაგრიდან ჩამოვიდა კიტრით დატვირთული მანქანები. მძღოლები, რომლებმაც 500 კილომეტრი გაიარეს, ჩქარობდნენ დროზე ჩამოეტანათ ტვირთი, რათა თბილისელებს დილიდანვე ეყიდათ ახალი ბოსტნეული.

მანქანები ნელა შემოვიდნენ ბაზის ეზოში. დაიწყო გადმოტვირთვა. აწყობილად მუშაობს მტვირთავთა ბრიგადა ა. ხაჩატუროვის ხელმძღვანელობით. კიტრიან ყუთებს ჯერ სასწორზე დგამენ, შემდეგ კი ანაწილებენ რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მანქანებში.

თბილისში ჩამოტანილი 12 ტონა კიტრი ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ სათბურების მეურნეობის პირველი მოსავალია. აქ მოსავლის აღება გრძელდება და მაისში და ივნისის დამდეგს მეურნეობა თბილისელებს გამოუგზავნის კიდევ 20 ტონა კიტრს.

კოლმეურნეობა „მეგობრობა“ ქალაქ გაგრის ზონის ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა, რომლის კოლექტივი წლითიწლობით ზრდის ბოსტნეულის წარმოებას.

— ძნელი გზა გამოვიარეთ, — თქვა გაგრის დამამზადებელი კანტორის მისაღები პუნქტის გამგემ ვ. გოგოხიამ, რომელიც მანქანებს ჩამოპყვა. — როგორც კი წამოვედით, წვიმა მოვიდა, ნისლი ფარავდა რიკოთის უღელტეხილს. მაგრამ ჩვენმა მძღოლებმა ი. ლომბრიანიდამ და ი. პოპანდოპულომ საქმით დაადასტურეს, რომ მაღალი კლასის მძღოლები არიან.

კიტრი, რომელიც ამ მძღოლებმა ჩამოიტანეს, თქვა „თბილხილბოსტანეაპრობის“ დირექტორმა ჯ. ქურიძემ, ახალი სეზონის პირველი პროდუქციაა, რომელიც ჩვენმა ბაზამ მიიღო. კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ისპანახი, სუფრის მწვანილი, რომლებიც გარდაბნის, მარნეულის, ვანის რაიონების მეურნეობებმა გამოგვიგზავნეს და ლაგოდეხის რაიონიდან მიღებული გრუნტის კიტრი ჩვენს მაღაზიებს ისე გავუნაწილეთ, რომ ბაზაში არ შემოგვიტანია.

რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებაში სულ უფრო ფართოვდება მუშაობა პრინციპით: მინდორი — მაღაზია.

უახლოეს დღეებში თბილისში მასობრივად შემოიტანენ კიტრს ლაგოდეხის რაიონიდან, ახალ კარტოფილს ბოლნისის რაიონიდან, კომბოსტოს, პომიდორს... მთელი სიმძლავრით ამუშავდება ბოსტნეულის კონვეიერი.

ვ. გულაშვილი,
საქინფორმის კორ.

„მაისის ყვავილები“. ფ. ზოგოხიას ფოტო.

„მზიური“ სკოლა-ინტერნატში

ფოთელწყარო. (საკ. კორ.). კვირას, 16 მაისს, რაიონის სკოლა-ინტერნატის ეზოში ტევა არ იყო. მსმენელებთან ერთად აქ იყვნენ მათი შშობლები, რაიონის ცენტრიდან, სოფლებიდან, მოსული სტუმრები.

ინტერნატის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ საგულდაგულოდ მოწყობილ ესტრადაზეა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ansamblი „მზიური“. მაყურებლები თვალს ვერ ამორებენ ცისარტყელასავით მოელვარე კაბებში გამოწყობილ გოგონებს.

ძვირფას სტუმრებს, ესტრადის ნორჩ ოსტატებს სტუმრობისათვის და საუკეთესო კონცერტისათვის გულთბილი მადლობა გადაუხადეს და სამსხვერპლო საჩუქრები გადასცეს ინტერნატის დირექტორმა ნ. ალადაშვილმა, შრომისა და სამეფლო ომის ვეტერანებმა ა. კობაიძემ, ვ. ქადაგიძემ, ნ. არაბულმა, მ. ბიკაშვილმა.

ნორჩეგზა გაიხარეს

ცხინვალში საგანგებოდ ჩამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის თოჯინების სახელმწიფო თეატრი. მათ ნორჩ მაყურებელს უჩვენეს თავიანთი საუკეთესო დადგმები: ს. პროკოფიევის „სიცილი გუგულით“, ც. ხამიცოვის „ლეგენდა გამოჯეურებულებზე“ და ი. ეოლსკის „ჯადოსნური კიბობანი“. სპექტაკლების დამდგმელია ჩრდილოეთ ოსეთის დამსახურებული მოღვაწე მ. ბაეევი.

გარდა ცხინვალისა, თოჯინების თეატრი ეწვევა ჯავისა და ზნაურის რაიონების ნორჩ მაყურებელს.

ბ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რაც თვალს არ გამოეპარა

მე ვარ და ჩემი... „ბაზარი“

მთაწმინდა დღესაც თბილისის ერთი უძველესი მყუდრო უბანია. აქ ბაზარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამ დღეებში თუ ვინმეს ეკითხებოდა შეძენა უნდოდა, ჭოჭაძის ქუჩისაკენ მიეშურებოდა. იქ № 7 სახლის ეზოში ვინმე ჯანა გიორგის ასულ ალატაროზიანს შუშაკიტრიანი ყუთები დაეწყო, სასწორი სახელდახელოდ გაეკართა და სარფიანად ვაჭრობდა. კილოგრამს ორ მანეთად ჰყიდდა.

ამ დროს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „თბილხილბოსტანეაპრობის“ კალინინის რაიგანყოფილების № 85-ე მაღაზიის დახლი გამოცარიელებული იყო, მომსმარებლები კი იღრენენ და ამაოდ ელოდნენ...

განრიგის მიხედვით ამ მაღაზიას 14 მაისს სარეალიზაციოდ სახათბურო მეურნეობიდან კიტრი უნდა მიეღო და მანვიად და ერთ აბაზად გაეყიდათ. მაგრამ მაღაზიის გამგე რობერტ ეღიშეს-ძე ხეროვი და გამყიდველი ჯანა კალატოზიანი გაოცდნენ: — როგორ, ბნელა?! კიტრი ექვს აბაზად?! და ყუთებს თავი ჭონქაძის ქუჩაზე ამოაყოფინეს.

ეს „ოპერაცია“ არ გამოეპარათ თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და ხელყოფის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეგანყოფილებას (უფროსი მილიციის კაპიტანი რ. მაჭავარიანი), სისხლის სამართლის სამეგრეს ინსპექტორებს, მილიციის ლეიტენანტებს ვ. ცინცაძეს და ვ. დეკბუაძეს.

უსირცხვილო სპეკულანტები მახეში გაეხვნენ. რობერტ ხეროვებ უმაღლესი აგრონომიული განათლება აქვს მიღებული და თბილისის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში მუშაობდა, მაგრამ იოლი გამდიდრების სურვილმა არ მოასვენა და 23 აპრილიდან ერთი თვის საგამცდო ვადით „თბილხილბოსტანეაპრობის“ კალინინის რაიგანყოფილების დირექტორის ზ. ხუხუნეიშვილის ბრძანებით № 85 მაღაზიის გამგედ დაინიშნა.

ახლა „გამოცდას“ რ. ხეროვი და ვ. კალატოზიანი მილიციის მაიორ გამომძიებელ კ. კუნელაურთან აბარებენ.

ბ. ბახტურიძე.

სატირის ოსტატი

ანდრო კანდელაკის ნამუშევართა გამოფენაზე

სატირასა და იუმორს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში საკმაოდ ძველი ტრადიციები აქვს.

იგივე არ ითქმის ქართულ სახვითს ხელოვნებაზე, რომლის ერთ-ერთი საყურადღებო „უარი — სატირული გრაფიკა ფაქტიურად შესატყვისი სიათითის ჟურნალების დაბადებას უკავშირდება და თავის წელთაღრიცხვას ძირითადად 900-იან წლებიდან იწყებს.

ყოველგვარი ყოფაცხოვრებითი თუ პოლიტიკური მანკიერების მამხილებელი ეს დარგი საქართველოში ნამდვილ აღმავლობას მხოლოდ საბჭოთა პერიოდში ეღირსა, კარგა ხანია მყარი ადგილი დაიკავა ჩვენს ხელოვნებაში და კიდევაც მოგვცა სატირული გრაფიკაში მომუშავე, ინდივიდუალური ხედვით, მხატვრული აზროვნებით და ხელწერით დაჯილდოებული საყურადღებო ოსტატები, რომელთა სახელი დღეისათვის უკვე ფართოდ არის ცნობილი რუსეთის რესპუბლიკის გარეთაც.

მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ანდრო კანდელაკი, რომლის პირველი პერსონალური გამოფენა, მისი დაბადების მე-60 წლისთვის გამო. ამ რამდენიმე დღის წინათ გამოიცემლობა „მერანში“ მოეწყო.

ანდრო კანდელაკის სატირულ-იუმორისტული ნახატების კრებულს — ალბომს სახით, ნიშანდობლივი სათაურით — „ხუმრობითა და ხუმრობის გარეშე“, — ფართო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ 60-იან წლებში გაეცნო („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964 წ. თბილისი და „სოვეტსკი ისკუსტვო“, 1968 წ. მოსკოვი). დღეს კი მაყურებელს პერსონალური გამოფენაც შესაძლებლობას აძლევს მოლიანობაში აღიქვას წლების განმავლობაში სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალ გაზეთებში ასობით გამოქვეყნებული ნახატები, მათი ხილვით ერთხელ კიდევ დაღონდეს თუ გაიხაროს.

ანდრო კანდელაკის შემოქმედება ისთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის პრესის ფურცლებს. 20 წლის ყმაწვილის ჯერ კიდევ გაუმარავი ხელით შესრულებული პირველი იუმორისტული ნახატი 1936 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ნიანგში“ და იმ დროიდან ქართული საბჭოთა პრესა და ცხოვრების ყოველდღიური აქტუალური საკითხები ანდრო კანდელაკის ცნობიერებისა და შემოქმედების ცენტრში მოექცა.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა, დაძაბული შრომის, ძიების, დაოსტატების, დიდი მღელვარების და დიდი სიხარულის ორმოცი წელი.

ამაზე მოგვითხრობს გამოფენა — ექსპონირებული დაზვური გრაფიკა-ილუსტრაციები. მათი ზოგჯერ ჭირვეული და ზოგჯერ სიდინჯით აღსავსე კომპოზიციები, ფერთა შესამება, ხაზი, ნახატი...

მრავალფეროვანია ანდრო კანდელაკის სატირული ფურცლების თემატიკა. მისი ყალამი და მახვილი თვალი კი ალბათ არასოდეს ისვენებს, მით უფრო დღეს, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითეული ჩვენთაგანის საქციელს, ყოველ „წვრილმანს“ — უქმად დაკარგულ თვითეულ საათს, თვითეულ მარცვალს.

ბუნებრივია, რომ დიდი შინაგანი კულტურის მქონე კეთილი მხატვარი თავის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილს უთმობს საბავშვო მხატვრობასაც, რომ მისი რომანტიკული განწყობა, ფანტაზიის ბუნებრივობა და ლაკონიერ მეტყველებას შეჩვეული მხატვრული ენა პატარებისათვის გასაგები და გულში ჩამწვდომია.

ხელოვანისათვის წლოვანება შემოქმედების მხოლოდ ახალი ეტაპია. დე ხვავიანი შემოდგომა დასდგომოდეს მხატვარს. ჯერ კიდევ ბევრია ჩრდილოეთი, ამოსაძრეკავი...

გულნარა ჯაფარიძე

საფრთხობელა. ა. კანდელაკის ნახატი.

დაპირისპირება

ოჯახი, ყოფა და ცხოვრება

ოჯახი — ამ წმიდათაწმიდა სიტყვის წარმოთქმისას ადამიანს სითბო და სიამაყე ავსებს, მას მაშინვე ახსენდება თავისი თავი, მამაკაცეული კერა, შობლები, ცოლშვილი, დედმამიშვილები...

ოჯახი ხომ ღირსეული წინამძღოლითია და შვილებით ფასდება — რამდენად უნარიანად მართავენ ისინი ცხოვრების საქმეს, ერთგულად ემსახურებიან ქვეყანას, უმწიკლოდ ახორციელებენ შთამომავლობის გამრავლებას, აღზრდისა და ჩამოყალიბების საერთო საქმეს...

რაოდენ სასიამოვნოა, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელ, მძლავრ ოჯახებში აღზრდილი ქალიშვილები და ჭაბუკები სასწაულს ხომ ამდენენ სწავლასა და შრომაში, სამაგალითონი ხომ არიან პირად ცხოვრებაში...

მაგრამ საკმარისია ოჯახებს შორის გამოერიოს, თუ გნებავთ, წინდაუხედავი, თავგზაბნეული ერთი წევრიც კი, რომ მან სერიოზული ზიანი მიაყენოს სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, საზოგადოებრიობასა და, ამასთან ერთად, დაეკნინოს საკუთარი ოჯახის ავტორიტეტი.

გადავწყვიტეთ ერთი ნამდვილი ამბავი მოგითხროთ.

ქარის მეზობელი ლევანი შემოვიდა ჩვენთან და საგულდაგულოდ დაგვპატიჟა — ხვალ, საღამოთი ჩემი ქალიშვილის ნიშნობა გვაქვს, გეკითხებიო, მთელი ოჯახით გვიწვიეთო...

ნიშნობას მალე ქორწილიც მოჰყვა. ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა... შთამბეჭდავი იყო ნეფისა და დედოფლის მაყრიონის სადღეგრძელოები — შეეღლებულებს მოსიყვარულე, ტკბილი ოჯახის შექმნა, სიხარული, ბედნიერება და გამრავლება უსურვეს...

გადიოდა დრო... ლევანი და მისი მეუღლე ტასო კმაყოფილები იყვნენ სიძისა და ქალიშვილის ურთიერთდამოკიდებულებისა, მაგრამ მათში მაინც რაღაც საეჭვოლობა იმალებოდა, ცოლქმარს თითქოს ფარული კაეშანი აწუხებდათ — ლაპარაკის, ისჯელობის დროს ხშირად თრთოდნენ და სათქმელს ვეღარ აბოლოებდნენ ხოლმე...

— უთუოდ რაღაც მოხდა! — მრავალჯერ მიფიქრია ჩემთვის.

ამ აზრისა იყო ჩვენი სადარბაზოს და სახლის ყველა მობინადრეც. ხალხს მითქმა-მოთქმის საბაბი ჰქონდა, ქორწილის დღიდან წელიწადზე მეტი იყო გასული და სიძის დედა-მძახალი ან მისიანები ერთხელაც არ სწვეოდნენ ლევანის ოჯახს...

თანდათან ყველაფერი გაირკვა და დაზუსტდა. შეეტყვეთ, რომ ჩვენი სადარბაზოდან წაყვანილი პატარძალი — ლევანის ქალიშვილი ნანული ვერ შეეგუა და რატომღაც ვერ აეწყო მეუღლის ოჯახს...

მოულოდნელმა გარემოებამ ძლიერ დამაღონა და გადავწყვიტე შვეხვედროდი სიძის — ბიჭიკოს დედას—ქეთევანს და გავსაუბრებოდი...

— ბუნებრივია, როცა ოჯახში უცხო პირი შემოდის, იღრინთნო ოყო, რაც მთავარია, ბიჭიკო და ნანული კარგად შეეგებენენ ერთმანეთს. მეც ძალიან მიხარიდა, ვცდილობდი მათი ასეთი დამოკიდებულება უფრო გაძლერმავებინა... მაგრამ, ერთ დღეს, როცა ბიჭიკო სამსახურებრივ მივლინებაში იყო, შუბლშეკრულ ნანულს ოჯახში ხელი არ გაუნძრევია. რასაც ვეკითხებოდი, ვატყობდი, არ ესიამოვნებოდა ჩემი სიტყვების მოსმენა, უფრო მეტად კი პასუხის გაცემა... გაჩუმება ვარჩიე... იმ დღიდან თვალს მარიდებდა ჩემი და ჩვენი ნათესაობის სანაქებო რძალი, დაეტყო გაორგულება, თანდათან დამეწყო შელაპარაკება. შენიშვნის მოცემა, უკადრისობა, სიტყვის ბანზე აგდება, დაყვედრება, ქედმაღლობა... მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე მისი ასეთი საქციელი არავისთვის შეთქვა, პირველ ყოვლისა, ბიჭიკოსთვის... ბუმცა თვითონაც შეეტყვე, რომ ყველაზე მეტად ამისა ეშინოდა...

რძლის უცაბედი აფეთქება, შემოტევა იმდენად მოულოდნელი, უადგილო იყო, რომ გაოგნებული დავრჩი. მომეჩვენა-მეთქი, ვიფიქრე. მერე თავი ამტკივდა, ვერ დავასკვენი: მისდა უნებურად მოუვიდა თუ შეგნებულად... ეპატიე. იგი ალბათ ვეღარასდროს გაბედავს მსგავს უპატივცემლობას მეთქი, გავიფიქრე მწარედ... ერთი პირობა ნანულმ მართლაც მოიხედა, ასეთი ამბები აღარ გაუმეორებია, პირიქით, შედარებით უფრო უკეთესად იქცეოდა და მისი პირვანდელი თავშეუკავებლობა თითქმის დამავიწყდა კიდეც... ასე გრძელდებოდა ორ თვემდე... მერე ნანულის ნათელ და მღიმარე სახეზე ისევ ღრუბლები გამოჩნდა. იქუხა. წვიმა და სეტყვა ერთდროულად წამოვიდა... პარასკევ დღეს, სოფელში, ჩვენებთან გადავწყვიტე წასვლა. ნანულს ამბავი დავუტოვე, რომ ოჯახისათვის მიეხედა, მეუღლისათვის ყურადღება მიექცია, საუმეელი დროზე მოეშზადებინა და უჩემობა არ დასტყობოდათ. ეს ვეფხვარი და, მოხდა საოცრება — ნანული გაეთიდა და დამიტატანა:

— იმიტომ კი არ გავთხოვდი, რომ თქვენი მოსმენა გავხდე.

— მე ნურაფერს გამიკეთებთ, თქვენს თავს მოემსახურეთ! — მაშინვე ვუპასუხე.

— სხვა დედამთილები ზედ ჰყვებიან რძლებს!

— ჩემისთანა დედამთილებზე კი რძლები ლოცულობენ!

მისმა განმეორებით ასეთმა, სრულიად გაუმართლებელმა სადურავმა დამაბინა, გავშრი და, რა მექნა, მაინც გიჟუმები ვარ ჩიე... ჩანთას წამოვაყენ ხელი, გასვლა დავაპირე გარეთ, რომ ნანული მომიახლოვდა, ატირდა, აცახცახდა, პატიება მთხოვა და მარწუნებდა — წეღანდელი შეცდომა ეს ბავშვობა, ეს ბავშვობა... ბოდიშს ითხოვ, ბოდიშს ითხოვ... ბოდიშს ითხოვ... ბოდიშ... ბ... ბ... ბ...

ამბავი ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი 6 შეხვედრიდან 4 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა, იგი ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა. სიინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე წრე კარპოვმა თანაბრად წარმართა: ორ-ორი ქულა მოაგროვა.

სამი ქულით მეორე ადგილზე გადმოვიდა აშშ-ის ჩემპიონი ბრაუნი. პირველი წრის შემდეგ იგი ბოლო ადგილზე იყო (ნახევარი ქულა სამიდან), მაგრამ შესანიშნავად ითამაშა მეორე წრეში (2,5 ქულა სამიდან). 2.5 ქულა მოაგროვეს ოლაფსონმა და ტიმანმა.

თბილისი. საქართველოს ვატა ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. 12 ტურის შემდეგ 9 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი ჯანოევი. ოსტატებს ჩიქოვანსა და უბილავას 7,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ. მაგრამ თუ ჩიქოვანი ორივე გადადებულ პარტიაში აშკარა უპირატესობას ინარჩუნებს და ამდენად შესაძლებლობა აქვს შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდეს, უბილავას სატურნირო მდგომარეობა აშკარად უარესია: ერთ გადადებულ პოზიციაში მას ორი პიანი აკლია, მეორეში კი მეფეზე მდგომარეობა აქვს.

კვლავინდებურად დიდ ინტერესს იწვევს მაია ჩიბურდანიძის თამაშა. მეთორმეტე ტურში მაიამ მეფეზე ბრძოლის შემდეგ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ოსტატ ზაინიკოვან. დაფაზე ძალთა თანასწორი შეფარდებაა. ჩიბურდანიძეს ორი ეტლი და მხედარი ჰკავს შავებს ოლანდიელ და სამი პიანის ზენაადმდეგ.

ვ. გამრეკელი.

ნ. გაფრინდაშვილი ყირგიზეთში

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი სტუმრად იყოფება ყირგიზეთში. აქ იგი კითხულობს ლექციებს საბჭოთა ჭადრაკის განვითარების შესახებ, მართავს ერთდროული თამაშის სეანსებს.

ამას წინათ ნ. გაფრინდაშვილმა ასეთი სეანსი გამართა ფრუნზეს პიონერთა სასახლეში. მსოფლიოს ჩემპიონმა ათი პარტია მოიგო, ორში კი ყაიმს დასჯერდა (მეათეკლასელ კ. სალპაგარიევასთან და მეექვსეკლასელ დ. ტოქტოგონოვთან).

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება

საბჭოთა მოჭადრაკეებს არ მიაჩნიათ შესაძლებლად, რომ მონაწილეობა მიიღონ მორიგ ქალთა და ვაჟთა ოლიმპიადებსა და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესში, თუ ისინი ისრაელში გაიმართება. ეს ნათქვამია სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებაში. ფედერაციის საჯაროდ მიაჩნია, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა გადაწყვეტილება 1976 წლის ოქტომბერში მსოფლიო ოლიმპიადებისა და კონგრესის მოწყობის ადგილის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად არსებული ვითარება არავითარ გარანტიას არ იძლევა როგორც სპორტსმენებისა და ოფიციალური წარმომადგენლების უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ისე ოლიმპიადებისა და კონგრესის ნორმალური ჩატარებისათვის.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე უნდა განიხილონ საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ყველა ფედერაციისათვის, კერძოდ აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების ფედერაციებისათვის, რომლებმაც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში შესვლის სურვილი განაცხადეს. მაგრამ, თუ კონგრესი ისრაელში გაიმართება, ფედერაციათა ნაწილი სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის აზრით, მონაწილეობას ვერ მიიღებს კონგრესის მუშაობაში.

„ოლიმპიადის მოწყობა ქვეყანაში, რომლის მმართველი წრეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობილი რეზოლუციებისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების საწინააღმდეგოდ განაგრძობენ აგრესიის პოლიტიკას მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიმართ, აგრეთვე ახორციელებენ ამ ტერიტორიათა მოსახლეობისადმი ძალადობის პოლიტიკას, ეწინააღმდეგება ოლიმპიადის პრინციპებსა და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის დევიზს „ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ“, — საზარალოა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებაში. (საკვლევი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

მეორე ქერეულიანი — ბაბაჯანიანი

მეოთხედფინალური

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი გაიმართა გუშინ კიევში. საბჭოთა ნაკრები მასპინძლობდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს, რომელთანაც ბრატისლავაში წაგებული ჰქონდა პირველი ორთაბრძოლა — 0:2.

ჩვენმა ფეხბურთელებმა რვანში ვერ აიღეს — მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ბურთები გაიტანეს: სტუმართაგან მიიღერმა (2), მასპინძელთაგან ბურიაკმა და ბლოხინმა. ჩეხოსლოვაკიის გუნდი განაგრძობს ბრძოლას ნახევარფინალში.

დღეს სტადიონებზე

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

თბილისის „დინამო“ უკრაინის დედაქალაქში შეხვდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს — კიევის „დინამოს“.

ამ მატჩის მეორე ნახევრის რეპორტაჟი საქართველოს რადიოთი დაიწყება 21 საათიდან თბილისის დროით.

ტენისი

თასები — ნ. ჯიმსა და ვ. მარკელოვს

გოსკოოში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის თასების გათამაშება სპორტულ ტენსარაგაში და ასევა სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან მრავალჯერადის ცალკეულ სახეობებში — დღეს სარბიელზე მხოლოდ ქალები ამოდიან. ამ სპასაბინ პრიზების შარშანდელი მფლობელები გამოეთხოვენ თასებს: ქალთა შორის მოსკოველმა ელენარა საადმ მხოლოდ მეოთხე შედეგი აჩვენა (76,425 ქულა), ხოლო ვაკთა ტურნირში ლენინგრადელმა ალექსანდრე დიტიატინმა — მესამე (111,375 ქულა).

სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების შესრულების შემდეგ წინ, როგორც ცნობილია, იყვნენ 19 წლის ტანმოვარჯიშეები — ჩიმკენტელი ნელი კიმი და მოსკოველი ვლადიმერ მარკელოვი. ლიდერებმა წარმატებით ინსპარეზეს ფინალშიც და სპატიო თასები მოიპოვეს, ნ. კიმის შედეგია 77,2 ქულა, ვ. მარკელოვის — 112,55 ქულა.

თასის ხუთეზეს მფლობელი — ოლიმპიური თამაშეებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ლიუდმილა ტურიშჩევა (როსტოვი) გამარჯვებულს მხოლოდ 0,4 ქულით ჩამორჩა; მესამე ადგილზეა ოლგა კორბუტი — 76,625. ექვსეულში შედიან აგრეთვე მარია ფილატოვა (ლენინგრადი) — 76,4, ლიდია ბორბიკი (მინსკი) და ელენე დავიდოვა (ვორონეჟი) — 76,075 ქულა თვითეულს.

ვაკთა შორის მეორე ადგილზე გამოვიდა ვლადიმერ ტიხონოვი (როსტოვი) — 111,75, მეოთხეზე — ნიკოლოზ ანდრიანოვი (ვლადიმირი) — 110,775 ქულა, მეხუთეზე — გენადი კრისინი (მოსკოვი) — 110,625, ხოლო მეექვსეზე — თბილისელი პაატა შამუგია—110,4 ქულა. ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა უფლება საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ინსპარეზის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში.

ბოქსი

ველოსპორტი. მშვიდობის 29-ე ველოსრბოლის მე-11 ეტაპზე (ოდესის ფრანკფურტი — კოტბუსი) გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა ნიკოლოზ გორკოლოვმა.

გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ ვინეტიანელები სსრ კავშირის ნაკრებია.

კალამბურთი. საბჭოთა ქალთა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ მულენში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი მოუგო რუმინეთის გუნდს — 127:60, ხოლო მეორე — იუგოსლავიის ნაკრებს — 110:59. წარმატებას მიაღწია ჩეხოსლოვაკიის გუნდმაც. გადამწყვეტი ასპარეზობა გაიმართება ქალაქ კლერმონ-ფერანში 24-29 მაისს.

ფარიკაობა

ფოლადის ჩემპიონის — ბაბაჯანიანი

ამსტერდამი. ოთხთა მატჩ-ტურნირის უკანასკნელ მეექვსე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ოლაფსონ-კარპოვი და ბრაუნ-ტიმანი. გაიმარჯვეს კარპოვმა და ბრაუნმა.

ამრიგად, შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი 6 შეხვედრიდან 4 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა, იგი ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა. სიინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე წრე კარპოვმა თანაბრად წარმართა: ორ-ორი ქულა მოაგროვა.

სამი ქულით მეორე ადგილზე გადმოვიდა აშშ-ის ჩემპიონი ბრაუნი. პირველი წრის შემდეგ იგი ბოლო ადგილზე იყო (ნახევარი ქულა სამიდან), მაგრამ შესანიშნავად ითამაშა მეორე წრეში (2,5 ქულა სამიდან). 2.5 ქულა მოაგროვეს ოლაფსონმა და ტიმანმა.

თბილისი. საქართველოს ვატა ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. 12 ტურის შემდეგ 9 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი ჯანოევი. ოსტატებს ჩიქოვანსა და უბილავას 7,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია აქვთ. მაგრამ თუ ჩიქოვანი ორივე გადადებულ პარტიაში აშკარა უპირატესობას ინარჩუნებს და ამდენად შესაძლებლობა აქვს შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდეს, უბილავას სატურნირო მდგომარეობა აშკარად უარესია: ერთ გადადებულ პოზიციაში მას ორი პიანი აკლია, მეორეში კი მეფეზე მდგომარეობა აქვს.

კვლავინდებურად დიდ ინტერესს იწვევს მაია ჩიბურდანიძის თამაშა. მეთორმეტე ტურში მაიამ მეფეზე ბრძოლის შემდეგ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ოსტატ ზაინიკოვან. დაფაზე ძალთა თანასწორი შეფარდებაა. ჩიბურდანიძეს ორი ეტლი და მხედარი ჰკავს შავებს ოლანდიელ და სამი პიანის ზენაადმდეგ.

ვ. გამრეკელი.

ნ. გაფრინდაშვილი ყირგიზეთში

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი სტუმრად იმყოფება ყირგიზეთში. აქ იგი კითხულობს ლექციებს საბჭოთა ჭადრაკის განვითარების შესახებ, მართავს ერთდროული თამაშის სეანსებს.

ამას წინათ ნ. გაფრინდაშვილმა ასეთი სეანსი გამართა ფრუნზეს პიონერთა სასახლეში. მსოფლიოს ჩემპიონმა ათი პარტია მოიგო, ორში კი ყაიმს დასჯერდა (მეათეკლასელ კ. სალპაგარიევასთან და მეექვსეკლასელ დ. ტოქტოგონოვთან).

ტელევიზია

23 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შეგისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — ბავშვებისათვის გასართობი კინოპროგრამა, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოოფიშა“, 14.00— „საჭადრაკო სკოლა“, 14.30 — „ჯადოსნური ეკრანი“, 14.50 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.30 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.30 — ბასკოლოგიის პერსპექტივები, 17.45 —„საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 19.15 — ნახატი ფილმი მე ბარტყს ველოდები“, 19.30 — ტრადიცია და თანამედროვეობა, 20.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ფრაკი“ — სერიიდან „დღეს საღამოს, ფერნანდელი“. იტალია-საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები. ფერადი გამოსახულებით (ჯადოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ნახატი ფილმი, 21.10 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ერუდია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

18.05 — ნახატი ფილმები, 18.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ბიჭუნები ოცნებობენ“, 19.35 — კონცერტი, 20.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 21.20 — მხატვრული ფილმი „ჰერცოგი ბობი“.

ოპ